ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება № 1-723

"29" მარტი 2017წ.

უკრაინაში, ქალაქ ხარკოვში 2017 წლის 20-21 აპრილს დაგეგმილ საერთაშორისო ტურისტულ ფორუმში - „ხარკოვი: პარტნიორობა ტურიზმში" მონაწილეობის ფარგლებში გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „პ" ქვეპუნქტის, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 დეკემბრის №30-87 დადგენილების მე-13 და მე-14 მუხლების, ქალაქ თბილისის მერიაში 2017 წლის 2 თებერვალს უკრაინის ქალაქ ხარკოვის ვიცე მერის მიერ წარმოდგენილი № 18/01170332055-01 განცხადების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურს უკრაინაში, ქალაქ ხარკოვში 2017 წლის 20-21 აპრილს დაგეგმილ საერთაშორისო ტურისტულ ფორუმში - „ხარკოვი: პარტნიორობა ტურიზმში" მონაწილეობის მიღება.

2. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის მიერ წარმოდგენილი მოთხოვნის საფუძველზე ამ ბრძანების პირველ პუნქტში გათვალისწინებულ ღონისძიებაში მონაწილე სტუმრების გამასპინძლებისათვის წარმომადგენლობითი ხარჯის ფარგლებში ქართული წარმოშობის პროდუქციის შეძენის და ტვირთის საქართველოს ფოსტით გადაზიდვის ხარჯის ანაზღაურება 3500 (სამიათასხუთასი) ლარის ოდენობით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის პროგრამით - „თბილისი - საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში" (კოდი: 04 04) გათვალისწინებული ასიგნებებიდან.

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სფეროს კურატორ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერის მოვალეობის შემსრულებელი,
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერის პირველი მოადგილე (ვიცე-მერი) ლაშა აბაშიძე

მიღება-ჩაბარების აქტი №1

--5- აპრილი 2017 წელი ქ. თბილისი

ქვემო ხელმომწერნი, ერთის მხრივ ქ. თბილისის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური, უფროსის მოადგილის ა. ტოგონიძის სახით (შემდგომში წოდებული, როგორც „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ შპს "ჩირიფრუტი" მისი დირექტორის ს. ჯიქიას სახით, (შემდგომში წოდებული, როგორც „მიმწოდებელი“) ვადასტურებთ, რომ „მიმწოდებელმა" მიაწოდა და „შემსყიდველმა" მიიღო 2017 წლის 20-21 აპრილს ქ. ხარკოვში ფორუმში - „ხარკოვი: პარტნიორობა ტურიზმში" მონაწილე სტუმრების გამასპინძლების მიზნით 30 შეკვრა ჩირის ნაკრები, ღირებულებით 600.0 ლარი.

(საფუძველი: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 29 მარტის ბრძანება №1-723).

მხარეებს ერთმანეთის მიმართ პრეტენზიები არ გააჩნიათ.

შემსყიდველი:

ქ. თბილისის მერიის ეკონომიკური
განვიტარების საქალაქო სამსახური
მის: შარტავას №7
სახელმწიფო ხაზინა
ა/ა GE42NB0330100200165022
ს/კ 204521794

მიმწოდებელი:

შპს "ჩირიფრუტი"
მისამართი – ჩიტაძის 9ა
ს/კ – 405032753
ბანკი – "თიბისი ბანკი"
ა/ა – GE02TB7398036060100001

ა. ტოგონიძე

ს. ჯიქია

შპს "ჩირიფრუტი"

INVOICE

ს/კ 405032753
ბანკი: თი ბი სი TBC
ა/ა: GE02TB7398036060100001
კოდი TBCBGE22
მისამართი: ქ.თბილისი, ჩიტაძის 9ა
ტელ: 597589898

თარიღი 20/03/2017
ინვოისი# 20.03.2017

შემსყიდველი
ქ.თბილისის მერია

ს/კ 204521794
მის. შარტავას ქ. N7

დანიშნულება	რაოდენობა	ერთ. ფასი, ლარი	თანხა
სასაჩუქრე ნაკრები, 20	30	20.00	600.00
		ჯამი	GEL 600.00

შპს "ჩირიფრუტის"
დირექტორი

სოფიო ჯიქია

* GEORGIA. "CHIRIFRUIT LTD" * 405032753